

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განკარგულება

2017 წლის 30 ივნისი

ქ. თბილისი

N 62

საქართველოს ეროვნული ბანკის სესხებისა და სესხების უზრუნველყოფაში მისაღები აქტივების თანაფარდობის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის საფუძველზე, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2017 წლის 14 ივნისის N 4 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად:

- საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული ოპერაციების უზრუნველყოფაში მისაღები სასესხო ფასიანი ქაღალდის ემიტენტის მინიმალურ რეიტინგად განისაზღვროს შემდეგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოებიდან Standard & Poors (S&P), Moody's, Fitch და Scope Ratings მიერ მინიჭებული რეიტინგებიდან ყველაზე დაბალი რეიტინგი;
- 2017 წლის 1 ივლისიდან დამტკიცდეს საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხების და მასზე დარიცხული პროცენტის, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის და მასზე დარიცხული პროცენტის, და/ან ერთდღიანი სესხის და/ან დღის შიდა სესხის თანაფარდობა სესხის უზრუნველყოფაში მყოფ აქტივებთან შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

	საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მისაღები სესხის უზრუნველყოფის სახეობა	სასესხო ფასიანი ქაღალდის ემიტენტის გრემელვადიანი საკრედიტო რეიტინგი		რეფინანსირების სესხების და მასზე დარიცხული პროცენტის, ღია ბაზრის ერთთვიანი ინსტრუმენტის და მასზე დარიცხული პროცენტის, და/ან ერთდღიანი სესხის და/ან დღის შიდა სესხის თანაფარდობა სესხის უზრუნველყოფაში მყოფი აქტივების ნომინალურ ღირებულებასთან აქტივების ნარჩენი ვადიანობის (წელი) მიხედვით		
		S&P, Fitch და Scope Ratings შკალა	Moody's შკალა	2 წლამდე	2 წლიდან 5 წლამდე	5 წელი და მეტი
1	საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდი	-	-	95%	95%	95%
2	საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდი	AAA, AA+, AA, AA-	Aaa, Aa1, Aa2, Aa3	95%	95%	95%
		A+, A, A-, BBB+, BBB	A1, A2, A3, Baa1, Baa2	90%	90%	90%
3	„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეზიდენტი და არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდი	AAA ≤ BBB-	AAA ≤ Baa3	90%	85%	80%
		BB+ ≤ BB-	Ba1 ≤ Ba3	85%	80%	75%
		B +	B1	80%	75%	70%
		B	B2	75%	70%	65%
4	კომერციული ბანკების სასესხო აქტივები	-	-	80%	80%	80%
		-	-	80%	80%	80%
5	უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტი საქართველოს ეროვნულ ბანკში	-	-	80%	80%	80%

3. საქართველოს ეროვნულ ბანკში უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხის შემთხვევაში, გირაოს მარჟის მოთხოვნის ამოქმედების ნიშნული განისაზღვროს +/- 10%-ის ოდენობით.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების სესხების, ერთთვიანი ღია ბაზრის ინსტრუმენტის, ერთდღიანი სესხის და დღის შიდა სესხის უზრუნველყოფად მისაღები კომერციული ბანკების სასესხო აქტივების მაქსიმალური მოცულობა თითოეული ბანკისთვის განისაზღვროს არაუმეტეს დაგირავების წინა საბანკო დღის მდგომარეობით კომერციული ბანკის მფლობელობაში არსებული მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების (ეროვნული ბანკის სადეპოზიტო სერტიფიკატები, საქართველოს მთავრობის სახაზინო ფასიანი ქაღალდები და სახელმწიფო ობლიგაციები, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ლარით დენომინირებული სასესხო ფასიანი ქაღალდები) 25%.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის სესხებისა და სესხების უზრუნველყოფაში მისაღები აქტივების თანაფარდობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 20 დეკემბრის N126 განკარგულება.
6. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2017 წლის 1 ივლისიდან.

კ. გვენეტაძე